პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურად. მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქც. მისამართი:
სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. ს რთ.
რუსთაველის პრ. № 31

შაბათი 6 იანვარი
1923 წ.
წელიწადი მესამე

№ 185 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 185

წითელი კომბალი

პარიზის თათბირი.

დაახლოებით ოთხი წელი შესრულდა მას შემდეგ რაც მსოფლიო იმპერიალისტური ომი დასრულდა და გამარჯვებული ანტანტის სახელმწიფოები ყოველ საშუალებას ხმარობდენ, რომ მშვიდობიან მდგომარეობიდან გამოყვანილი მსოფლიო „ნორმალურ“ კალაპოტში ჩააყენონ. შეიმუშავეს ვერსალის ხელშეკრულება, რომელმაც უაღრესად განვითარებულ კულტურის მატარებელი გერმანეთი, როგორც ეკონომიურად ისე კულტურულად თითქმის ნულამდე დაიყვანა. ვერსალის ხელშეკრულების შედეგათ გერმანეთი თან და თან ჩამოშორდა მსოფლიო ეკონომიკის ხელმძღვანელთა რიგებს და გადაიქცა საფრანგეთის ნამდვილ კოლონიათ.

ვერსალის ზავის შემწეობით საფრანგეთი არა თუ შესძლებს მსოფლიოში „მშვიდობიან“ მდგომარეობის შექმნას, არამედ უფრო აძლიერებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც შექმნილია თანამედროვე „პირობებში. გერმანეთის სიკვდილი, როგორც ეკონომიური ორგანიზმის, საშინელ კატასტროფიულ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე ერთის მხრივ და მეორეს მხრივ იწვევს გიგანტიურ კაპიტალისტურ სახელმწიფოების გადაჯგუფებას მსოფლიო ბაზრებზე გამოსვლის დროს. ეს ახალი შექმნილი მდგომარეობა ომის შემდეგ მწვავე დამოკიდებულებას ბადებს ანტანტის სახელმწიფოებს შორის.

ხშირად იმართებოდა კონფერენციები, მაგრამ ყველანი ფიასკოთი დასრულდენ.

ეხლა პოლიტიკური მდგომარეობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში შედარებით მათთვის ხელსაყრელია, რადგან მსოფლიო ფაშიზმი მძვინვარებს. მაგრამ ესევე ფაშიზმი არის დაუსრულებელი მტაცებლური მადიანობა ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებისა, რომელიც როგორც მსუნაგი მგლები არ დაინდობენ ერთი მეორეს და ყველანი ცალ-ცალკე ეცდებიან თავისაკენ, რაც შეიძლება უკეთესი პირობები შექმნან.

ლოზანის კონფერენციაზე ინგლისის დიქტატორული პოლიტიკამ შედეგებს ვერ მიაღწია.

ინგლისს სურს პოლიტიკური და ეკონომიური ჰეგემონია ოსმალეთზე. საფრანგეთს კი სრული ბატონობა გერმანეთის ეკონომიკაზე. საფრანგეთი მოითხოვს ინგლისისაგან, თუ ეს დაეხმარება გერმანეთის საბოლოო დამორჩილებაში, მაშინ ისიც (საფრანგეთი) დაუჭერს მხარს ინგლისს, ოსმალეთის საკითხის მათთვის სასურველად გადაწყვეტაში.

ლოზანაში საბოლოო შეთანხმება ვერ მოხდა საფრანგეთსა და ინგლისს შორის. საჭირო შეიქმნა ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენელთა სპეციალური თათბირის მოწვევა.

თათბირი დაინიშნა პარიზში და გაიხსნა იგი 2 იანვარს.

როგორც ვიცით ლოზანაში ამერიკის წარმომადგენელი დაესწრო როგორც მეთვალყურე და ზოგიერთ საკითხების გარჩევის დროს ისიც ღებულობდა მონაწილეობას.

პარიზის თათბირზე ამერიკის წარმომადგენელი არ ესწრება და ეს კი უდიდეს მნიშვნელოვანი ფაქტია.

ამერიკის გარეშე ოთხი წელია რაც ანტანტის სახელმწიფოები სცდილობენ მშვიდობიანობის დამყარებას, მაგრამ ვერავითარ დადებით პრაქტიკულ შედეგებს ვერ მიაღწიეს, რადგან ამერიკის განკარგულებაშია მთელ მსოფლიოში არსებული ოქროს უდიდესი ნაწილი და ამისათვის ის არის დღეს დღეობით ტონის მიმცემი მსოფლიო ეკონომიკისა.

პარიზის თათბირზე მიუხედავათ ამერიკის წარმომადგენლის დაუსწრებლობისა, მაინც არ არსებობს ერთსულოვნება. საფრანგეთი მოითხოვს გერმანეთის სამრეწველო რაიონების ოკუპაციას იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნილებანი გერმანეთმა არ შეასრულა. ინგლისი გერმანეთისადმი უფრო ლოიალურია, რადგან გერმანეთის განადგურებაში ის ხედავს საფრანგეთის, როგორც მეტოქის, გაძლიერებას. ამისათვის ინგლისის პროექტის მიხედვით გერმანეთს საშუალება ეძლევა ოთხი წლის განმავლობაში, ეკონომიურად მოღონიერდეს სესხის მიღების გამო და შემდეგ ვალდებულია გადაიხადოს ანტანტის და კერძოთ საფრანგეთის განსაზღვრული გადასახადები.

საფრანგეთი ინგლისის პროექტს სრულიად არ ეთანხმება და მოითხოვს გერმანიისაგან გაწერილ გადასახადების ეხლავე გადახდას.

როგორც სჩანს ინგლისი და საფრანგეთი პარიზის თათბირზე ვერ შეთანხმდებიან და ეს კი გამოიწვევს ლოზანის კონფერენციის უშედეგოთ დასრულებას.

პოლიტ-შემადგენლობის დემობილიზაცია.

წითელი არმიის შემცირებასთან ერთად სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს № 2749 ბრძანებით უნდა მოხდეს პოლიტშემადგენლობის გაშვებაც შემდეგი წესით.

უვადო შვებულებაში წავლენ პოლიტ შემადგენლობიდან ის პირები, რომლებსაც შეუსრულდა 30 წ. დაუკავიათ თანამდებობა 15 კატეგორიიდან ქვევით, იმ სატარიფო ცხრილის მიხედვით, რომელიც გამოცხადებულია რ. რ. ს. ს. ბრძანების 1922 წ. № 2430, და 12-ტე კატეგორიიდან სატარ. ცხრილით რ. რ. ს. ს. 1921 წ. № 2800 ბრძანებით. ამასთან პოლიტიკურ სამმართველოების უფროსები არ თავისუფლდებიან.

გაიშვებიან ის პირები, რომელთაც შეუსრულდათ 26 წ. მე-11-ტე კატეგორიის და ქვევით № 2430 სატარიფო ცხრილის ბრძანებით და 9 კატეგორიიდან № 2800 ბრძანების სატარიფო ცხრილით. პოლიტიკურ სამმართველოს ინფორმატორები და სტატისტიკოსები არ თავისუფლდებიან.

იმ პირებს, რომელთაც სურთ, თავის სურვილით სამხედრო სამსახურში დარჩენა, შეიძლება დატოვებულ იქმნენ საერთო დებულების მიხედვით და სათანადო შემადგენლობის [illegible], მხოლოდ თანახმად პოლიტ. დაწესებულების სურვილისა.

გაშვება მოხდება თანამდებობათა მიხედვით.

ის პირები, რომლებიც შტატების შემცირების გამო გადაყვანილ იქმნენ უფრო დაბალ თანამდებობაზე 1922 წ. 15 ივლისის შემდეგ, წლოვანების და მიხედვით გაირჩევიან იმ თანამდებობით, რომელიც ეკავათ მათ დაბალ თანამდებობაზე გადაყვანამდე, იმ პირთა გამოკლებით, რომლებმაც დაიკავეს უმაღლესი თანამდებობანი თავისი ნაწილის ან დაწესებულების გაუქმების გამო, და აგრეთვე რეზერვიდან დანიშნულებიც. ეს პირები გაირჩევიან ახალ თანამდებობათა მიხედვით.

არ გაიშვებიან ისინი, რომლებმაც დაამთავრეს სამხედრო პოლიტიკური კურსები. სამხედრო კურსები, სასწავლებლები და სამხედრო აკადემიები, რომელთაც არ დაუყვიათ აღნიშნულ სკოლებში სწავლის დამთავრების შემდეგ განსაზღვრული დრო.

სხვა შემთხვევებში პოლიტშემადგენლობის გაშვების დროს ნაბრძანებია ხელმძღვანელობა რ. ს. რ. ს. 1922 წ. № 1159 ბრძანებით და № 1498, პოლიტიკური სამმართველოს 1922 წ. ცირკულიარული განკარგულების № 61237 და ამ ბრძანების მისადაგებელ განმარტებას და მიხედვით.



— ორ იანვარს გაიხსნა პარიზის თათბირი.

— **გავრცელებული ხმების თანახმად 4 იანვარს უნდა წარედგინათ მოკავშირეებს ოსმალეთისათვის საზავო ხელშეკრულების პროექტი.**

— **პოლონეთში მუშათა გაფიცვები დამთავრდა ფაქტიურად მუშებმა ძლიერ ცოტა მოიგეს. მეფაბრიკეები ვალდებულნი არიან მოუმატონ მხოლოდ 5 პროც. თვეში.**

— **„ჩიკაგო ტრიბუნი“ იუწყება, რომ ამერიკულ ბანკირების კონგრესს განზრახული აქვს გააუქმოს მოკავშირეთა ყველა ვალები გარდა ინგლისისა.**

— **იტალიის კომუნისტები მედგრად ებრძვიან ფაშისტებს.**

— **რუსეთის დელეგაციამ მემორანდუმით მიმართა მოკავშირეთა დელეგაციებს რომელშიაც ხელ-ახლა პროტესტს აცხადებს კონფერენციის ყველა მუშაობაზე რუსეთის დაუშვებლობის გამო.**

— **ანგორიდან ისმეტ-ფაშამ მიიღო წინადადება, რომ დაჟინებით მოითხოვოს ეროვნული ხელშეკრულების შესრულება.**

პარიზის თათბირი.

თათბირის გახსნა.

2 იანვარს სრულ დღის 2 საათზე გაიხსნა პარიზის თათბირი. ამერიკის მეთვალყურე თათბირზე არ დასწრებია, თათბირი გახსნა პუანკარემ, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის სტატს-სეკრეტარი ითხოვს თათბირის დაწყებამდე მოუსმინონ მას. შემდეგ მოსმენილ იქმნა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის პროექტები. სხდომა გაგრძელდა 2 ნახ. საათი და შემდეგ თათბირი გადაიდო მეორე დღის სამი საათისათვის, რათა ცალკე დელეგაციებს შესაძლებლობა ექნეთ განიხილონ წარმოდგენილი კანონ-პროექტები.

ინგლისის პროექტი.

— პარიზის თათბირის პირველი სხდომის შემდეგ ბონარ-ლოუმ ინგლისის პრესის წარმომადგენლებს გადასცა კანონ-პროექტი და მისცა მის შესახებ ზოგიერთი განმარტებები. პროექტი ეყრდნობა გერმანიის კრედიტის აღდგენას, რაც აუცილებელი პირობაა საკონტრიბუციო საკითხის ყოველგვარ გადაწყვეტისათვის. პროექტი წინადადებას იძლევა დაწესებულ იქნეს გერმანიის ვალების გარკვეული რაოდენობა და მიეცეს გერმანიას 3 წლის მორატორიუმი, ყოველგვარ გარანტიების გარეშე, იმ მოსაზრებით, რომ უკანასკნელს შეუძლია მხოლოდ უარყოფითი შედეგების მიცემა, და რომ საკონტრიბუციო საკითხი არის მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური საკითხი და ის არ უნდა იქნეს დაკავშირებული პოლიტიკურ საკითხებთან. გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულებისათვის თვალყურის სადევნებლად, პროექტის თანახმად არჩეულ უნდა იქნეს საკონტროლო კომიტეტი. ნეიტრალურ სახელმწიფოების და გერმანიის მონაწილეობით და გერმანიის ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით. პროექტის პრესის წარმომადგენლებისათვის გადაცემის დროს ბონარ ლოუმ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია განზრახ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, ინგლისი საფრანგეთთან ერთად მოითხოვს სანქციების შემოღებას.

იტალიის პროექტი.

— პარიზის თათბირის გახსნის შემდეგ იტალიის დელეგატმა დელლა ტორეტამ წარუდგინა თათბირს მუსოლინის პროექტი და დაუმატა, რომ ამ პროექტში არ არის არავითარი სხვა მუხლის ცვლილებები და საზოგადოდ თავისებური რამ, გარდა იმისა, რომელიც წარუდგინა იტალიამ ლონდონის თათბირს.

საფრანგეთის პროექტი.

პარიზის თათბირზე პუანკარეს მიერ წარმოდგენილი საფრანგეთის პროექტი გულისხმობს მთელ რიგ გარანტიებს: 1) ნახშირის და ტყის მიწოდების სრული პროგრამის შესრულება, 2) გერმანიისათვის ზოგიერთი საექსპორტო შემოსავლის ჩამორთმევა, 3) გერმანიისათვის ექსპორტის და ნახშირის დაბეგვრის უფლების ჩამორთმევა, 4) გერმანელების მთელი ჯამი უნდა უდრიდეს 6 მილიონ ოქროს მარკას. პუანკარემ დაუმატა, რომ საფრანგეთის მიერ წარმოდგენილი ეკონომიური ხასიათის გარანტიები არ გამოიწვევს არავითარ სამხედრო ზომებს; თუ ყველა მოკავშირეები დათანხმდებიან მის მიღებაზე. თუ საფრანგეთი იძულებული იქნება მარტოდ იმოქმედოს, იმ შემთხვევაში სათანადო სამხედრო ოკუპაცია აუცილებელი ხდება და იმ შემთხვევაში თუ გერმანია არ მოისურვებს აღნიშნული პროგრამის შესრულებას ავტომატიურად, გერმანიის უარის შემდეგ, მიღებულ იქნება შემდეგი ზომები: 1) ესსენის ბოხუმის რაიონის და მთელი რურის აუზის სამხედრო ოკუპაცია მარშალ ფოშის მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმად 2) დაკავშირებულ ოლქებში გერმანიას ჩამოერთმევა საბაჟოები და 3) ვერსალის ხელშეკრულების სხვა მუხლების შეუსრულებლობა გამოიწვევს ზემოდ აღნიშნულ დაკავშირებულ რაიონების ევაკუაციის გადადებას.

— ცნობები გერმანიის თხოვნის შესახებ მოუსმინონ მას თათბირის გახსნამდე სხვა და სხვანაირია ერთი ვერსიით ამის შესახებ თათბირს ჯერ-ჯერობით არავითარი დადგენილება არ გამოუტანია, მეორე ვერსიით თათბირმა ერთხმად დაადგინა უარყოს გერმანიის სტატს-სეკრეტარის თხოვნა მოსმენის შესახებ. და ბოლოს მესამე ვერსიით—გერმანიის სტატს-სეკრეტარი ბერგმანი წერილობითი განცხადების წარდგენის შემდეგ, მოწვეული იქნება ამომწურავი ზეპირ ახსნა-განმარტების მისაცემად.

საფრანგეთის ოფიციალური ცნობა

— საფრანგეთის ოფიციალური ცნობით პირველ სხდომაზე წამოყენებულმა ინგლისის წინადადებამ დიდი გაკვირვება გამოიწვია თათბირის წრეებში და იმედების გაცრუება საფრანგეთის და ბელგიის დელეგატებში, საფრანგეთის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ საფრანგეთი, ალბად, არ მიიღებს ინგლისის წინადადებას და თუ საფრანგეთი ვერ დაიჯერებს მის გარანტიების აუცილებლობაში, იგი იძულებულ იქნება დამოუკიდებლად იმოქმედოს და მიიღოს ზომები, რათა მის ვალებს მოეპყრან პატივისცემით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარში

საბჭოთა მეათე ყრილობის სამხედრო დელეგატების თათბირი

წითელი არმიის რეორგანიზაციით გამოწვეული შედეგები კეთილ საიმედოა.

შეფობა დიდ დახმარებას უწევს წ.-არმიას.

30 დეკემბერს შესდგა ამხ. ტროცკის თავჯდომარეობით მეათე საბჭოთა ყრილობის, სამხედრო დელეგატების თათბირი. ამხ. ტროცკის დიდი ოვაციეებით შეხვდენ.

ამხ. სკლიანსკი თავის მოხსენებაში აღნიშნავს იმ ფრიად კეთილ საიმედო შედეგები, რომელიც გამოიწვია წ. არმიის შემცირებამ და რეორგანიზაციამ.

ამხ. ანტონოვი, თავის მოხსენებაბა არმიაში პოლიტიკურ მუშაობის მდგომარეობის შესახებ, მიუთითებს ამხანაგური დამოკიდებულების აუცილებლობაზე, პოლიტიკურ თვითშეგნებაზე და წითელი არმიის შემადგენლობის ამნაირად შეკავშირებისაკენ.

ამხ. ორლინსკი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ შეფობა შეიქმნა ის უძლიერესი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო წ. არმ ის მუშებთან დაკავშირებას. შეფთა დახმარებამ მოიცვა ყველა სამწყობრო ნაწილები, ყველა სამხედრო სასწავლო დაწესებულებანი და ჰოსპიტალების საგრძნობი ნაწილი.

ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, შეფების ფულით დახმარების რაოდენობა აღწევს სულ 1.500.000 000 მან. საჭირო არის უფრო წესიერი განაწილება შეფებიდან მიღებულ თანხებისა

ამხ. ტროცკმა დახურა თათბირი შემდეგი სიტყვებით.

„გაუმარჯოს წითელ არმიას და წ. ფლოტს“ ეს სიტყვები დაჰფარა დელეგატებ ს საერთო აღფრთოვანებულმა „ვაშამ“ და ინტერნაციონალის ჰიმნმა.

მადლობა უცხადებთ

საახალწლოთ თბილისის მცველ მხლებელთა ათასეულის სამხედკომმა და ათასეულის სამხედკორმა მივიღეთ საჩუქრები გაზეთ წითელ-არმიელის რედაქციისაგან: პაპიროსები, საწერი ქაღალდები, ფანქრები, თევზი, და ძეხვი. რომლისთვისაც ულრმეს მადლობას უცხადებთ, მას ჩვენ გავამართლებთ იმედებს რასაც გვაკისრებს ჩვენი საბჭოთა მთავრობა.

სამკორი: **მ. მაჩიტაძე.**

ჩვენ მზად ვართ ხელახლა გამოვიდეთ საბჭოების დასაცავად.

ჩვენ ქვემო ამისა ხელის მომწერნი წითელი არმიელნი, წელიწად ნახევარია, რაც პოლიტგანყოფილებაში ვმსახურობთ და ჩვენს მოვალეობას კეთილ სინდისიერათ ვასრულებდით და ერთი ნაბიჯითაც არ გადაგვიხვევია იმ გზიდან, რომელზედ წასვლას ჩვენ გვიკარნახებდნენ; დღეს კი საერთო ბრძანების ძალით, მივემგზავრებით რა უვადო შვებულებაში საჯაროთ ვაცხადებთ, რომ პირველი მოთხოვნილებისთანავე მზათ ვართ დავსტოვოთ მშობლიური კერა, ჩავსდგეთ წითელი არმიის რიგებში და იარაღით ხელში დავიცავთ მუშურ-გლეხური მთავრობა და რევოლიუციის მონაპოვარი.

პოლიტგანყოფილების წით არმიელნი **1. ლომსაძე 2. ფერაძე 3. ჭელიძე. 4. მაღლაკელიძე.**

ერთგული მუშაკი.

რაც შეიძლება მეტი ასეთები.

საავიაციო დივიზიონის შეფმა—სახელმწიფო ბანკმა, შემოსწირა ერთგვარი თანხა დივიზიონის წითელ არმიელებისათვის სასწავლო ნივთების შესაძენათ.

მასწავლებელ ამხ. **კაპანაძის** შეწყობით ეს ნივთები სასწრაფოთ შეძენილი იქმნა და წითელ არმიელები შეუდგენ ამავე ამხ. **კაპანაძის** მეთაურობით მეცადინეობას. უნდა აღინიშნოს, რომ მეცადინეობა მიმდინარეობს მეტად ნაყოფიერად, რადგან წითელ არმიელები გულმოდგინეთ და დიდი ხალისით ეკიდებიან სწავლას, ასეთი ნაყოფიერება მეცადინეობის აიხსნება ამხ. კაპანაძის შრომით, რომელიც თავის ვალდებულებას პირნათლად ასრულებს, მიუხედავათ იმისა, რომ მას ყოველდღე უხდება სიარული ქალაქიდან ნავთლუღში, ასეთი ერთგული და სინდისიერი მუშაობისათვის ამხ. კაპანაძე ღირსია დიდი მადლობის.

სამკორი **ჭინჭველაშვილი.**

კულტურული მუშაობა

საბიბლიოთეკო ნაწილიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ლეგიონში ზოგიერთ ასეულების ბიბლიოთეკარების ნაყოფიერ მუშაობამ შესძლო წითელ არმიელების დაახლოება და გაცნობა ქართულ ლიტერატურასთან. შესაძლებელია, რომ წითელ არმიელმა გაზ. „მიწის მუშა“ არც კი იცოდა თუ რა იყო ის, რას გვასწავლიდა. დღეს ყველა გაიძახის, რომ გაზეთ „მიწის მუშა“ მოგვაწოდეთო. წიგნები ყველა გაიკითხეს და მოითხოვენ გამოცვლას. ჩვენ ძლიერ ცოტა გვაქვს გამოსაცვლელი, მაგრამ ახლო მომავალში სექციიდან მოველით ახალ წიგნებს. ლეგიონის სარაიონო ბაზამ გააერთიანა ყველა ბიბლიოთეკარების მუშაობა გეგმით და კოლექტიურათ აწარმოებენ ბიბლიოთეკის საქმეს. ყოველ კვირაში ორჯერ იკრიბება ბაზაში საბიბლიოთეკო საბჭო, სადაც ადგენენ მომავალ სამუშაო გეგმას. ასეულები მძინარებდენ, მაგრამ ბაზის გამგის ყურადღებით ვხედავთ იქაც იჩინა თავი ბიბლ. მუშაობამ.

„ნაპერწკალი.“

[illegible] ასეთი უნდა

ჩვენ სამოსწავლო ძირითად ათასეულში კულტურული მუშაობა სათანადო დონეზე სდგას. ხშირად იდგმება წარმოდგენები, მეტ ნაწილად რევოლიუციონური პიესები. ამას წინათ გამართული იქმნა სალამო—წარმოდგენა გაზ. „წითელ არმიელის“ ფონდის გასაძლიერებლად. სალამოს წმინდა შემოსავალი გადაეცა „წით. არმიელის“ რედაქციას. აგრეთვე ათასეულში არსებობს მომღერალთა გუნდი ამხ. შალვა შველიძის ლოტბარობით.

ამასთანავე გუნდში დაარსებულია სხვა და სხვა სამხატვრო წრეები, სადაც მეცადინეობა ჩინებულად მიმდინარეობს. ერთი სიტყვით ათასეულში კულტურული მუშაობა ძლიერი ტემპით სჩქეფს, რაც რასაკვირველია ათასეულს მეტად ამაღლებს გონებრივად. ყველა წ. არმიელები დიდი ხალისიანად ეკიდებიან ყოველგვარ კულტურულ მუშაობას.

სამხკორი **ს. ქურიძე.**

საბიბლიოთეკო სექცია.

როგორც იყო მოეღო ბოლო ბიბლიოთეკების უმუშევრობას. ახლა კი ამ დარგში ყველაფერი რიგზეა. ყველა ასეულებში დარიგებულია წიგნები. II ლეგიონში არის ბაზა, რომელიც აერთიანებს ბიბლიოთეკებს კოლეგიალურ მუშაობაში. კვირაში ორჯერ ხდება საბიბლიოთეკო საბჭოს სხდომა, სადაც ბიბლიოთეკები ეცნობიან წიგნების სამუშაო გეგმას. სწარმოებს აგრეთვე მომზადება კითხვა-საუბრისათვის.

ლეგიონის ბიბლიოთეკაში არ არის საკმაო რაოდენობა ქართული წიგნებისა, რაც ხელს გვიშლის მუშაობაში. ვსთხოვთ დრამატიულ წრის ხელმძღვანელს, რომ დაგვიდგას ფასიანი სალამო, რომლითაც იქნება შეძენილი ქართული წიგნები. ვიმედოვნებთ, რომ საბიბლიოთეკო მუშაობას კიდევ უფრო სასურველ ნიადაგზე დავაყენებთ.

ნაპერწკალი.

ცოტა რამ ყველაფერზე.

შუშა—ფოლადი.

ხანგრძლივი ცდების დაყენების შემდეგ, ბოგემიაში შემუშავდა განსაკუთრებული სახე შუშის, რომელიც სრულიად არ ტყდება. ასეთი სახის შუშისაგან დამზადებული ჭურჭელი შეგვიძლია გავახუროთ მეტის მეტად და ჩავდოთ ცივ წყალში, და სხვა მაგრამ მაინც არაფერი უშავდება. ამ შუშისაგან გაკეთებულ ჩაქუჩებით. ისევე შეიძლება სარგებლობა, როგორც ჩვეულებრივ ფოლადის ჩაქუჩებით. ალმასი ვერ სჭრის ამ შუშას.

არტილერია მომავალ ომში.

იმ ზარბაზნების გასროლის სიშორე, რომლითაც იქნება ახლობელ ომებში მონაწილენი შეიარაღებული უდრის 140—200 კილომეტრს (კილომეტრი ცოტათი ნაკლები არის ჩვენებურ ვერსზედ). ინგლისს შეუძლია შემოიფარგლოს თავისი თავი ცეცხლის რკალით 140 მილიმეტრის სიშორით ზღვის ნაპირებიდან საფრანგეთის ზარბაზნებს შეუძლიათ საფრანგეთიდან ლონდონისა და მისი განაპირა ადგილების განადგურება.

ხმოვანი მიკროსკოპი.

ამერიკაში გამოგონილ იქმნა ისეთი აპარატი, რომელსაც ხვდა წილად ითამაშოს ხმათა ქვეყანაში მიკროსკოპის როლი. ეს იგივე უმავთულო ტელეფონია, რომელიც არაჩვეულებრივად აძლიერებს ხმას. ამ აპარატის შემწეობით შეიძლება მოსმენა თუ, როგორ იზრდება ბალახი. როცა მიწის ჭია ხრავს მიწას, გვგონებათ რომ ხერხი სჭრის ფოლადს. როდესაც ბალახის თესლი გახეთქავს თავის გარსს, ისმის დამაყრუებელი ხმა როგორც ზარბაზნის გასროლის დროს.

ამ ახალ აპარატს ეწოდება **რადიოფონი.**

უენო მეგობრების წერილები ქართულ წითელ არმიელებისადმი

(გაგრძელება)

ამას გარდა, დიდ მოვლას და სიფრთხილეს საჭიროებენ ცხენები აგრეთვე მაშინ, როდესაც თავლის ახლოს ან ამ უკანასკნელში ცეცხლი გაჩნდება. თუ ცეცხლი თავლის ახლოს არის გაჩენილი, საჭიროა დაუყოვნებლივ ყველა ცხენებს ლაგამი აედვას, რომ მდგომარეობის და მიხედვით ყოველთვის შესაძლებელი იქნეს ცხენების გარედ გამოყვანა. თუ ცეცხლი თვით თავლას მოედება და ცხენებს გარედ გამოსვლის ეშინიათ, ასეთ შემთხვევაში ცხენენების გარედ გამოსაყვანათ საუკეთესო საშუალებათ ითვლება ან ზორის დაკვრა, ან თავზე ჩულების შემოხვევა, რომ ამ უკანასკნელ საშუალების გამო ცხენებმა ვერ დაინახონ ცეცხლის თანდათანობით გაძლიერება და თავისუფლად გარეთ გამოყვენ წით. არმიელებს.

ასეთია, ამხანაგო წითელ არმიელებო, საზოგადო დებულებანი ცხენების მოვლის შესახებ, რომლებიც თქვენ, სახელდობრ თქვენ, როგორც წითელ არმიელებმა, ზეპირათ უნდა იცოდეთ, თუ თქვენ არ გინდათ შემარცხვენელი იყოთ იმ მაღალ ღირსების სახელწოდებისა, რომელსაც თქვენ ატარებთ.

ცხენების გაწმენდაზე, კვებაზე, წყლის დალევინებაზე, ბანაობაზე, ქვეშსაგებელზე, ჭედვაზე, თავლაში დაბინავებაზე, თავლების მოწყობა შენახვაზე, თავლაში ყოველ დღიურ წესრიგზე, შესაკმაზავ იარაღების შენახვაზე, სხვა და სხვა ავადმყოფობაზე და საკვების ღირსებაზე შემდეგ წერილებში.

ექიმი ვეტერინარი **ფარეიშვილი.**

სამხედრო საქმე

ფეხოსან ჯარის ბრძოლა.

იმპერიალისტურ ომის დროს, დასაწყისში, გაბატონებული იყო შეხედულება, რომ ფეხოსანი ჯარი იწყებს ბრძოლას შორი მანძილიდან და ის მტრებს თანდათანობით, სროლით, უახლოვდება. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ეს შეხედულება ძლიერ შემცდარი იყო. ომის განმავლობაში მოწინააღმდეგეთა მიერ ზარბაზნების გაუმჯობესებით, იქმნა მიღწეული ზარბაზნების ყუმბარების განმანადგურებელი თვისების საშინელი განვითარება, რითაც დიდ ზიანს აყენებდა ფეხოსან ჯარს ზარბაზნების შორმსროლელი განმანადგურებელი თვისება.

ფეხოსან ჯარის შორის, მანძილიდან ბრძოლის დაწყებას აქარწყლებდა და უმნიშვნელოდ ჰხდიდა და რაც დრო გადიოდა მით უფრო მეტ უპირატესობას იღებდა უახლოესი ბრძოლა ფეხოსან ჯარისათვის.

როცა ორი მოწინააღმდეგე ჯარი ერთმანეთს შეებმიან—უპირატესობა იმას აქვს, ვინც რიცხვით მეტია; რაც შეეხება ფეხოსან ჯარს, თუ იგი რიცხვით მეტი არაა, ზნეობრივად მეტი ძალა უნდა ჰქონდეს ე. ი. სულიერი განწყობილება უფრო მტკიცე უნდა ჰქონდეს და სასტიკი დისციპლინით შეკავშირებული. ამ თვისების წყალობით, იერიშზედ გადასულ არტილერიას (როდესაც ის მტრის არტილერიაზედ მრავალრიცხოვანია) შეუძლიან თავის განმანადგურებელი, მარჯვე ცეცხლით დასძლიოს მტრის არტილერია, შეჰხუთოს მისი მოქმედება და სროლაზედ უარი ათქმევინოს. ერთდროულად არტილერიასთან ნაღმისმფრქვეველების შეერთებული ძალით ისე შეიძლება შეირეკოს მტრის ფეხოსანი ჯარი თავის საბურავებში, რომ მას ზარბაზნებისა და ნაღმისმფრქვეველების მოქმედების დროს არ შეეძლება თავის იარაღის მოხმარება. მტრის ფეხოსან ჯარს შეუძლიან მოიხმაროს თავისი შაშხანა თოფი მხოლოდ მაშინ, როცა მოიერიშე არტილერია გადაიტანს თავის განმანადგურებელ ცეცხლს უფრო შორს საკუთარ ფეხოსან ჯარისათვის წინ წაწევის შეძლების მისაცემათ. უკანასკნელს, თავის უფრო მძლავრი არტილერიის დახმარებით, შეეძლება დაუახლოვდეს მტერს მცირე დანაკლისით და მხოლოდ მაშინ, თავის მხრივ, შეუძლიან მოიხმაროს იარაღი, როცა მომგერიებელი გამოჩნდება თავის საბურავიდან საპასუხო ცეცხლისათვის.

ამ გზით ფეხოსანი ჯარის ბრძოლა მხოლოდ უფრო უახლოეს მანძილებიდან დაიწყება.

გ. ბ.

ახლო აღმოსავლეთში.

იკრიფება ღრუბელი!
(ო, ვისი დამღუპველი?!)

ბრწყინავს აღმოსავლეთი!
(ო, კვდება დასავლეთი!..)

სდგება მძინარე ლომი.
(ო, ახლო არის ომი!)

ვინც იწყებს ამ სისხლის ღვრას!
(ო, იწყებს საფლავის თხრას,—)

სადაც თვით ჩაეშვება!
(ო, დაშნაც დაესვება!)

„ანტანტა“ ვერ წამოდგეს.
(ო, მუშა ჰქმნის სამოთხეს!..)

დაშნა.

დავკარგე სამხედრო სარეგისტრაციო ბარათი № 253 მიღებული მეორე სამხედრო რაიონულ კომისარიატიდან მიხეილ ირემაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1.500 პასუხისმგებელი რედაქტორი პ. ქუთათელაძე